

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC)

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC) ჩატარდა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით. HBSC საერთაშორისო კითხვარი მუშაობს აკადემიურ 4-წლიან ციკლზე და 2013/2014-ში 44 ქვეყანა და რეგიონი იღებდა მასში მონაწილეობას. კვლევის მიზანი არის ახალგაზრდების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესება იმ ფაქტორების გამოვლინებით რომლებიც გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, როგორც არის ჯანმრთელობა, განათლება, სოციალური კონტაქტები, ოჯახი და პერსონალური თვისებები. (HBSC) კვლევა საქართველოში არის ერთადერთი ინფორმაციის წყარო მოზარდთა ჯანმრთელობის შესახებ. (HBSC) კვლევა იძლევა ინფორმაციას ახალგაზრდების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ფართო ასექტების შესახებ. ქვეყნის მასშტაბით გამოკითხვა პირველად 2018 წელს ჩატარა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა.

საქართველოში ქვეყნის მასშტაბით HBSC კვლევა 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, კვლევის მიზანი იყო ახალი მტკიცებულებების მოპოვება და მოზარდების ცნობიერების დონის ამღლება, ჯანმრთელობის ქცევასთან, ჯანმრთელობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებით სოციალურ ჭრილში.

კვლევაში ჩართულები იყვნენ ახალგაზრდა მოსწავლეები საჯარო და კერძო სკოლებიდან, ასაკით 11, 13, და 15 წლის. ეს ასაკობრივი ჯგუფები შეირჩა ამ ასაკში განვითარების მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ეტაპების გავლის გამო. კვლევა ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით. კვლევაში მონაწილეობდა თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა წარმომადგენელი. კითხვარების შევსება ხდებოდა კლასებში გაზაფხულის სემესტრის დროს.

ქვეყნის მასშტაბით კვლევა ჩატარდა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულ ოფისთან კოლაბორაციაში. ქვეყნის ექსპერტების მიერ, რომლებიც მოზარდთა ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობდნენ ხდებოდა კვლევის მონაცემთა ანალიზი.

ქართული HBSC კითხვარი მიჰყვება HBSC საერთაშორისო გამოკითხვის ოქმს. კვლევის პროტოკოლი შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტული კითხვარის მიხედვით. 2018 წლის HBSC კითხვარი შეიცავს 44 კითხვას. ეს კითხვები სტანდარტულია ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის და ფოკუსირებულია სოციალურ, ჯანმრთელობისა და ქცევის თემებზე.

სამივე ასაკობრივ ჯგუფს ქონდა ერთმანეთისგან განსხვავებული კითხვები: 11 და 13 წლის ასაკის ჯგუფების კითხვარი იყო ერთნაირი, 15 წლის მოზარდებს დაემატათ კითხვები რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შესახებ.

კვლევა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა, ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულ ოფისთან და ჯანმოს ქვეყნების ოფისებთან თანამშრომლობით გატარდა 123 ქართულ სკოლაში. კვლევაში გამოყენებულ იყო საერთაშორისო პროტოკოლით შედგენილი ეროვნული კითხვარი. კვლევის პროტოკოლი იქნა დამტკიცებული დეკანოზის ეთიკის კომიტეტის მიერ.

ამ კვლევის ნიმუში შეადგენდა: 4242 რესპონდენტს 123 საშუალო სკოლიდან, 123 კლასტერს (სასწავლო ნიშნები/ჯგუფები)

ცხრილი 1: HBSC სასწავლო ნიმუში, 2018 წელი

	ასაკი			ჯამური
	11 წლის	13 წლის	15 წლის	
თბილისი	289	370	331	990
რეგიონი, ქალაქი	477	438	478	1393
რეგიონი, სოფელი	625	694	540	1859
ჯამური	1391	1502	1349	4242

ქცევის რისკები მოზარდებში


11 წლის ასაკის ყოველი მეათე (23% გოგონა და 19% ბიჭები) უცდიათ და ერთხელ მაინც მოუწევიათ ცხოვრების განმავლობაში, ამ მოსწავლეების წილი ასაკთან ერთად მატულობს.

ცხრილი 9: მოსწავლეები, რომლებსაც უცდიათ მოწვევა ცხოვრებაში ერთხელ მაინც

	11 წლის	13 წლის	15 წლის
ბიჭი	19%	22%	59%
გოგო	23%	28%	48%

როგორც მოსალოდნელი იყო 15 წლის ასაკიდან, მოზარდების წილი, რომელიც იწყებს მოწვევას, მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. გოგონების 53% და ბიჭების 57% მიუთითებს იმაზე, რომ ეხლა ხანს დაიწყეს მოწვევა.


სურათი 10: მოზარდთა წილი, რომელთაც ბოლო 30 დღის განმავლობაში ერთხელ მაინც აქვთ მოწვეული



ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება, ალკოჰოლი


15 წლის ასაკის 28% აცხადებს, რომ მათ სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაუღევიათ (ბიჭების 34% და გოგონების 23%). ალკოჰოლის მოხმარება 15 წლამდე ასაკის ბავშვებში საკმაოდ ყურადსაღებია.

სურათი 11: ალკოჰოლის მოხმარება 15 წლის ასაკში



11 წლის ასაკში თითქმის ყოველ მეხუთეს და 13 წლის ასაკში ყოველ მესამეს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი. ეს წილი ყველაზე მაღალია 15 წლის ასაკში.

სურათი 12: მოზარდების წილი, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან ცხოვრებაში ნასვამი



ფსიქოაქტიური ნივთიერებების, კანაფის გამოყენება

15 წლის ასაკის გამოკითხულთა მხოლოდ 3% -მა მიუთითა კანაფის (მარიხუანა, ჰაშიშის, და სხვა) გამოყენებაზე ერთხელ ცხოვრების მანძილზე, ხოლო 2.45% - ბოლო ერთი თვის განმავლობაში. ბიჭები გოგონებთან შედარებით 10-ჯერ უფრო ხშირად მოიხმარდნენ მარიხუანას გასული თვის განმავლობაში.